საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/1364
07/03/2022

1364-09-2-202203071747

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

N3661 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
სურსათის ეროვნული სააგენტო კონტროლს ახორციელებს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად, რომელიც მტკიცდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და კონტროლის განხორციელების დროს პრიორიტეტული მიმართულებების დადგენის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის წინა წლების სახელმწიფო კონტროლის შედეგების გათვალისწინება.
2020-2021 წლებში კონტროლის ჯამური რაოდენობის შემცირება, 2019 წელთან შედარებით, განპირობებულია დოკუმენტური შემოწმების რაოდენობის კლებით.
2016-2021 წლების მონაცემებით, დოკუმენტური შემოწმებების დინამიკა ცვალებადია; 2016 წელთან შედარებით, მისი რაოდენობა შემცირებულია, თუმცა, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით გაზრდილია.
2016 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, კონტროლის მექანიზმები გახდა უფრო კომპლექსური და მოქნილი, ინსპექტირებისას დაფიქსირებულ დარღვევებზე სააგენტოს უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ შეავსონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შესაბამისობის შეფასების აქტის საფუძველზე, რაც მანამდე საჭიროებდა დოკუმენტური აქტის შევსებასაც.
2017 წლიდან განსაზღვრული იყო ხორცის სარეალიზაციო ობიექტების შემოწმება წელიწადში 6-ჯერ, 2018 წლიდან აღნიშნული ჯერადობა შემცირდა 2-მდე. წლიურ პროგრამაში დოკუმენტური შემოწმების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრული იყო საბავშვო ბაღებისა (წელიწადში 2-ჯერ) და სკოლის ბუფეტების (წელიწადში ერთხელ) კვების ბლოკების შემოწმება. ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო სკოლები და ბაღები იყო დაკეტილი, შესაბამისად, კონტოლიც ვერ ჩატარდებოდა, აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების რაოდენობა კი ქვეყნის მასშტაბით 2000-ზე მეტია.
გარდა ამისა, 2020 წელს ფუნქციონირება შეწყვიტეს სხვა საქმიანობის ბიზნესოპერატორებმაც.

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა (WHO) და სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ერთობლივი გაიდლაინით (რომელიც გამოიცა 2020 წლის 22 აპრილს და მასში მოცემულია რეკომენდაციები სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი კომპეტენტური უწყების მიერ განსახორციელებელი საქმიანობის მიმართ) ახალი კორონავირუსის (COVID -19) პანდემიიდან გამომდინარე, შემცირდა სურსათის ნიმუშების აღება და მათი ლაბორატორიული კვლევა, განსაკუთრებით ნარჩენების ლაბორატორიულ კვლევასთან მიმართებაში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემცირდა გამოსაკვლევი ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის რაოდენობა.

რაც შეეხება ვეტერინარული პრეპარატების რაოდენობის შემცირებას, 2022 წელს ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით განხორციელდება 190 ნიმუშის აღება და ლაბორატორიული გამოკვლევა, რაც 2007-2020 წლებში რეგისტრირებული 1336 ვეტერინარული პრეპარატის 15%-ს შეადგენს, ხოლო 2021 წელს სულ რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატის 58%-ია. გამოსაკვლევი 190 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან 185 აღებულ იქნება გეგმურად, ხოლო 5 არაგეგმურად.
2022 წელს გეგმურად ასაღები ნიმუშების რაოდენობის შემცირება გამომდინარეობს 2019 წლიდან გამოკვლეული ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშებში შეუსაბამობის (უხარისხო ვეტპრეპარატების) არარსებობით.
2014-2018 წლებში გამოკვლეული 1042 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან უვარგისად იქნა მიჩნეული 17 პრეპარატის ნიმუში, ხოლო 2019-2021 წლებში - არცერთი.
შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ უფრო მნიშვნელოვანია, ვაკონტოლოთ ვეტერინარული პრეპარატების შენახვის, რეალიზაციისა და გამოყენების პირობები დამამზადებელ საწარმოებში, სარეალიზაციო ობიექტებსა და ვეტერინარულ კლინიკებში. სწორედ ამით არის განპირობებული გეგმურად ასაღები ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების რაოდენობის შემცირება.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი